

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესების
გამარტივებისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული
საქმიანობების შესახებ**

ა ნ გ ა რ ი შ ი

**თბილისი,
2010 წ**

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები

მოწყვლადი კატეგორიის ამომრჩევლებთან ურთიერთობა

2010 წელს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) შეიქმნა მოწყვლადი კატეგორიის ამომრჩეველთა ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ცესკოს კომისიის წევრები, ადმინისტრაციის თანამშრომლები, ადგილობრივი არასამთავრობო და სამთავრობო, ასევე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფმა 2010 წლის აპრილისა და მაისის თვეში გამართა 15 სამუშაო შეხვედრა. შეხვედრებზე განხილულ იქნა მოწყვლადი კატეგორიის ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის საჭიროებები.

შშმ პირთა ამომრჩეველთათვის მაქსიმალური ხელშეწყობის, მათი ინფორმირების და საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის მიღების მიზნით, ჯგუფმა 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

თბილისი

ა/ო „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ (ორგანიზაცია საქართველოში თითქმის ყველა ტიპის ინვალიდობის თემაზე მოქმედ 23 საზოგადოებრივ ორგანიზაციას აერთიანებს) წარმოადგინა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ინვალიდობის მქონე ყველა ძირითადი კატეგორიის: სმენადაქვეითებული, უსინათლო, გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. კოალიციამ და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებული მონიტორების მეშვეობით, წინასაარჩევნო გადაცემები სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით გადიოდა. დაიბეჭდა საარჩევნო მასალა ბრაილის შრიფტით. გადაადგილების შეზღუდვის მქონე პირთათვის სათანადოდ მოეწყო საარჩევნო უბნები (დამონტაჟდა სპეციალური პანდუსები).

კოალიციამ საკუთარ ვებგვერდზე www.disability.ge და ჟურნალ „იმედი+“-ში განათავსა ინფორმაცია არჩევნებში მონაწილეობის მსურველთათვის ხმის მიცემის წესებისა და პროცედურების შესახებ.

ბათუმი - ხელვაჩაური

ფონდმა „ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“ წარმოადგინა პროექტი „ჩემი ხმა ქვეყნის მომავლისათვის“, რომელიც ითვალისწინებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) და მათი ოჯახის წევრებისგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სამიზნე ჯგუფების შექმნას, საგანმანათლებლო მოდულის „სამოქალაქო აქტივობა - შენი ხმა შენი მომავლისთვის“ შემუშავებას, ამ კატეგორიის ამომრჩევლებთან და მათი ოჯახის წევრებთან შეხვედრებს, მათთვის სპეციალურად მომზადებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების მიწოდებას, ასევე საარჩევნო უბნებში მათი გამოცხადების ხელშეწყობას სპეციალური ტრანსპორტით უზრუნველყოფის გზით. პროექტმა მოიცვა 350-ზე მეტი შშმპ და მათი ოჯახის წევრი ქ. ბათუმსა და ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში - განთიადი, კაპრემუმი, გონიო, ადლია, კახაბერი, სატეხია, დაბა მახინჯაური და სხვა.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოწყვლადი კატეგორიის ამომრჩეველთა ხელშეწყობის მიზნით, მომზადდა და დაიბეჭდა შემდეგი სახის საარჩევნო მასალა:

- ფლაერები;
- საარჩევნო ბუკლეტები;
- ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერები;
- კენჭისყრის დღის ინსტრუქცია ბრაილის შრიფტით;

ასევე, გადაადგილების შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისათვის ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე მოეწყო დროებითი პანდუსები, ხოლო სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის ზოგიერთ საარჩევნო უბნებზე დამონტაჟებულ მონიტორებზე გაშუქდა წინასაარჩევნო გადაცემები სურდოთარგმანის თანხლებით (ყესტური ენა).

აღნიშნულ საქმიანობას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ახორციელებდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის, საქართველოს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.